


1938

ՀՕԹԵՂԹՈ

ՕՀԿ ՀՅԵՒՋԱՅԻ
ՑՈՅՑԱԳՐՈՒԹՅՈՒՆ



10

1938

კომუნი

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61

მინახსა

83.

1. გიორგი გუგიშვილი - ოქტომბერი (ლექსი)	1
2. ილია სიხარულიძე - ოქტომბრის ზეიძი (ლექსი)	2
3. ლენინურ-სტალინური კომკავშირის ოცი შლისთავი (წერილი)	3
4. კაშკაშებს დიადი აქტომბრის მხე (წერილი)	4
5. მა. აგლადი - გმირი ქალები (ნარკვევი)	6
6. საცდრო ულეთი - შემოღომა სოფლად (ლექსი)	9
7. თურმან ჭავჭავაძეი - გიგა (მოთხრობა)	10
8. ლაზარევი პიჭინაძე - ნადიმი (მოთხრობა)	13
9. მა. გიორგაძე - ედიშერის ცდები (ნარკვევი)	15
10. გის როგორი ენა აქვს	გარეკანის მე-3 გვ.
11. გლადიატორი და რომაელები	გარეკანის გვ-3 გვ.
12. გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

გურიაშვილი გაფორმებულია მხატვარ ფონისა და ი. ქოქიაშვილის მიერ.

ყდის მხატვრობა ეცულება მხატვარ კ გძელიშვილს.



୩୩୮୦

ମହାଶ୍ରୀ ପାତ୍ରକାଳୀ

ମହାଶ୍ରୀ

ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପାତ୍ରକାଳୀ,
ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ରକାଳୀ,
ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ରକାଳୀ,
ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ରକାଳୀ.

ଏହା ପାତ୍ରକାଳୀ
ପାତ୍ରକାଳୀ ପାତ୍ରକାଳୀ,

ପାତ୍ରକାଳୀ ପାତ୍ରକାଳୀ
ପାତ୍ରକାଳୀ ପାତ୍ରକାଳୀ.


ଏହା ପାତ୍ରକାଳୀ ପାତ୍ରକାଳୀ
ଏହା ପାତ୍ରକାଳୀ ପାତ୍ରକାଳୀ
ଏହା ପାତ୍ରକାଳୀ ପାତ୍ରକାଳୀ
ଏହା ପାତ୍ରକାଳୀ ପାତ୍ରକାଳୀ.



ოქტომბრის ზეიმი




ოქტომბრის სხივით გამტბარი
აყვავებულა მთა-ბარი,
ულევ დოკლათად ქსეულა
ნათესი, ნახნავ-ნაბარი,
შშრომელს ალხენს და ალალებს
მისივე ნაამაგარი,
მტერი ვერაფერს დაგვაკლებს,
გვიცავს მარჯვენა მაგარი!!
სტალინური მზე გვინათებს,
გაქრა წყვდიალი, ბნელეთი,
დავიმორჩილეთ ბუნება,
ჰაერი, ზღვა და ხმელეთი:
ფოლადისფრთიან არწივებს
ჰაერში გააქვთ სრიალი,



საბჭოთა მინდვრებს ახარებს
ტრაქტორთა გუგუნ-გრიალი.
გვახარებს შრომა, სულ ვშრომობთ
და შრომა ისევ გვწყურია!!
სიცოცხლე სახილისოა,
ცხოვრება საამურია!!
გამარჯვებულთა სიმღერა
ჩვენში ხმამალია გრიალებს,
დროშა დიალი ოქტომბრის
მუდამ წინ გვიძლვის, ფრიალებს.
დიდი ოქტომბრის ზეიმი
ყოველ ზეიმზე დიდია
და მისი დროშა მხესავით
მსოფლიოს ცაზე ჰკიდია!





საკ. ალექს ცეკვას მდივანი ამ. ა. გოსარევი

დანიელ-სტენის კომპანიის ოცი ნიუის მდივანი

ამ წლის 29 ოქტომბერს ოცი წელი შესრულდა ლენინ-სტენის კომპანიის არსებობა.

ოცი წლის ზენათ გალავ მოსკოვში შეიკრიბა კომპანიის პირველი ყრილობა. ამ ზრი დობამ გაავორდა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შექვერა.

ზენათ გილი მუშაობა მიმდინარეობდა კომპანიის შემცირების, გოლგავითა პარტია და მისი გუმარის გადასაცემი ლენინი და სტალინი უდიდეს გენერალობას ანიჭიდნენ ახალგაზრდობას.

პირველი ახალგაზრდობის მოძრაობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითავსა პარტიის მემკვეთ შრილობაში. მემკვეთ შრილობაში 1917 წ. აგვისტომ იგი ამხანაგი

სტალინის უშაულო ხელმძღვანელობით მიღია ნარიობდა. ლენინი მაჟინ დარიაბით მთამინდას ეგალიერდა და ისტაკვეთ იყოფებოდა.

ამ ამ შრილობაზე სხვა საკითხთა შორის იღება საკითხი ახალგაზრდობის კავშირის უსახებება.

პარტიის მემკვეთ შრილობის შემდეგ ახალგაზრდობის კავშირის უფრო გავალეს მუშაობა. მთავრობა მთავრობა რიცხვის გარემონტირების და კარხენებში შეიძლება მუშა ახალგაზრდობის ცოციალისტური ორგანიზაციები. უს ურგენტულობით შეიძლება ირაგვით გოლგავითა პარტიის გარემო.

პარტია უდიდეს მუშაობას აზარმოებდა ახალგაზრდობას შორის. კომპანიის პირველი შრილობა გოლგავითა პარტიის უშაულო ხელმძღვანელობით მიღინდა ნარიობდა, შრილობა

ზის ფელიგაციას საუბარი ჰქონდა ლენინიან
ახალგაზრდობის კავშირის აპოცენტის შესახვა.

იმ დროს რუსთაში სამოქალაქო მოის ჩარ-
ცეცლი ტრიალებია. ხალიც მორიზ გამართე-
ბით უთხვდებო ახალგაზრდა საგვოთა ხელის-
უფლებას.

კომკავშირის კარგად ხდებადნენ. ამას
და გოლგაზრდაზე ხელმძღვანელობით მედგრად
იგარიბოდნენ მორიზის ზონას დადგებ. ამ პრიორული
ასიკონიაზე ან საოლოო კომიტეტის კარგზე
ასევე განცხადებით იყო გამოკიდები:

„რაიონი და მომზადება, ყველანი ფრონტი
წარიდნენ“.

მიდიოდნენ და მიღიოდნენ კომკავშირის გო-
ლგაზრდა და მომზადება იგარიბოდნენ მორი-
ზესა და სამოქალაქო ადგინდებოდნენ. რევოლუციის გამარჯვებისა-
თვის.

ოთხა წელი ადრე საერთაშორისო მოის და-
თავლისგანდე, 1920 წლს მომდებარეობის ახა-
ლგაზრდობის კომუნისტური კამპირის მისამი-

ურილობა. ურილობაზე სიტყვით გამოვიდა და
დი ლენინი, რომელმაც მოსახურ აპოცენტი
ახალგაზრდობას შეაგდე დაუსახა.

კომკავშირი ყოველთვის ასრულია და უსახლებელი
ასრულებას დიდი გალაზების დენინისა და
სტალინის გრძელების მითითებას.

სოციალისტური და ვოლფიციის უმაღლეს ურ-
ნიშვილი გამოიჩინა კომკავშირის თავი. სამო-
კლოს გამოული დაცვისამოსის კომკავშირი
და უნილიდობაზე ულიკი ზოთილი საბაზოლო დრო-
შის ორდენით, ხელო სოციალისტურ მარე-
ბლობაში აპტიური მონაშილეობისათვის მარ-
შის უთხველი დროშის თანდენით.

ჩენს საპონთა ახალგაზრდობას უსაზღვროდ
უყვარს სამოქალაქო, უყვარს ლენინ-სტალინი,
პარტია, უყვარს დიდი გალაზი, ამხანაგი
სტალინი, გოლგაზრდა პარტიისა და დიდი
სტალინის ხელმძღვანელობით კომკავშირი მედ-
გრად ფარა აინ, ახალახალი გამარჯვებისათვის!



სულ ახლო წარსულში, რამდენიმე წლის წინათ
ჩენს ქვეყანაში ხალხი საშინელ ტანჯვა-შანებაში
ცხოვრობდა. შიმშილი, სილარიბე, უუფლებობა
და გაუგონარი ჩავრა აწებებდა მილიონობით ადა-
მინანძს. მეფის რუსეთი სულს უხუთავდა მშრომე-
ლებს, არავითარ გასაჭანს არ აძლევდა მათ. ლენინმა
ხალხთა საპყრობილ უწოდა მეფის რუსეთი.

მშრომელთა საყვარელი ბელადები ლენინი და
სტალინი და ბოლშევიკების პარტია რაზმავლენ
ხალხს გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მშრომელები
მიჰყებოდნენ თავიანთ ხელმძღვანელებს და მხად
იყნენ მათ ყოველ დახინდება.

და იყ, ბოლშევიკებმა მიიღეს გადაწყვეტილება,
რომ დაწყებულიყო აჯანყება 1917 წლის შეიდი
ნოებრისათვის. ლამით აენთო კრეისერი „ავრორა“.
მან ყუმბარები დაუშინა პეტროგრადს. გრიალებდა
„ავრორა“, გრიალებდა ქალაქი. იწყებოდა სულ ახ-
ლი ხანა.

შვიდ ნოებერს დორე-
ბითი მთავრობა უკვე
დამხობილი იყო. ხალხი
ხეიმობდა ჯერ არნა-
სულ გამარჯვებას.

მაგრამ მეორე დღიდა-
ნვე საზიზლარმა მტრებ-

მათავიანთი მახვილი ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუუ-
ლებისაკენ მიმართეს. გაჩილდა სამოქალაქო ომი.
ყოველი მხრიდან ტკიების ზუსტნი ისმოდა. თავისუ-
ფალი ხალხი არავის არ უშინდებობდა და მტკიცედ
იგერიებდა ყოველგვარ მუხანათურ თავდასხმას. რე-
ვოლუცია წინ-წინ მიიწვედა, ყოველდღიურად იცხე-
ბოდა ახალი ძალით.

მალე ოქტომბრის ბრწყინვალე მხემ შეანათა
ახერბაჯანმი, სომხეთში, საქართველოში...

1922 წლის დეკემბერში შეიქმნა საბჭოთა სო-
ციალისტური რესპუბლიკების კავშირი, გაერთიან-
დნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

მის შემდეგ საბჭოთა კავშირი შევიდობინა აღ-
მშენებლობას შეუდგა კულტურული, განაპირო კუთხებ-
ში, შორეულ ტაიგასა თუ ყაზახეთში, ფართოდ გაი-
შალა ეს მშენებლობა. დედამიწის ერთი მექანიზაცია
აგუგუნდა, ქვეყანამ მალე იცვალა სახე. რამდენი
ქარხანა, ფაბრიკა, ელსადგური, სკოლა და შენობა
იყო კიდეო-კიდემდის, ამათი ჩამოთვლაც შეუძლე-
ბელია.

მარტო ჩენს რესპუბლიკაში, საქართველოს
საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშიც კი გი
გასწოდება თვალი ნაირნაირ სანახაობებს, გულს რომ
ახარებენ, და იტაცებენ.

ვთქვათ, თქვენ გადაწყვიტეთ გამგზავრება ქუთასისაკენ. ერთ მშვენიერ დილით ადგილი დაიკავეთ მატარებელში და გამოემშვიდობეთ თბილის. მატარებელი მიქრის, მითრინავს! ელმავალი მიაქროლებს ვაკონებს. უნებლივ გაკონდებათ ამბავი (უფროსებმა რომ გიამბექს!) იმის შესახებ, თუ როგორ მიბობდავდა უწინ მატარებელი ამ გზაზე, როცა ნახშირიც არ ჰქონდათ და უანგიან ორთქლმავლებს შეშით ახურებდნენ. დაიწვებოდა შეშა, მატარებელიც დადგებოდა, კვლავ აანთებდნენ და ასე...
ახლა სულ სხვაა. სულ სხვა!

აი, მირბის მატარებელი, მირბის! გაიარა სადგურები, ქალაქები, სოფლები. რამდენი წარმტაცი სანახაობაა! უკვე აჯამეთიდანაც გახველით. უახლოვდებით რიონს. აგრე, მარჯვნივ გორაკიდან როხი უზარმაზარი მოლი ეშვება, ქეევით რაღაც შენობაა, მასთან აუარებელი მავთულებლართი.

ეს რიონჭესია, აგებული სულ რამდენიმე წლის წინათ. სალორიის ტყეზე, სადაც ორი ათეული წლის წინათ ავაზაკების შიშით კაცი ვერ გაივლიდა, გაჭრილია არხი. ამ არხში მიედინება რიონის წყალი, გადაღის მილებში და აბრუნებს ვეებერთელა ტურბინებს. ორმოცდარვაათასი კილოვატი სიმძლავრე გადმოედინება მანქანებიდან.

ოქვენ უფრო აღრე ზემო-ავჭალაში შეგხვდათ ასეთივე ელსადგური. ეს ზაჟესი იყო. იგი ქვეყანას ოცდაჩვიდმეტ ათას კილოვატ სიმძლავრეს აძლევს.

ბევრი, ბევრი პიდროსადგურია აგებული რესპულიკების ქალაქებსა და სოფლებში: ონში, აბაშაში, ლენტებში, ზნაურში, ლიხაურში, ბარისახოში... შენდება ხრამების, სოხუმშესი, ტყვარჩელის თბოელიქტროსადგური, თბილისის თბოელიქტროსადგური და სხვა.

მაგრავები, ნავთი, ქვანებირი...

ძალიან მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა, მდიდარია მისი წითლი, რა გინდათ, რომ აქ არ მოიპოვებოდეს: მარგანეცი, ნავთი, ქვანებშირი, ბარიტი, მოკლიბდენი, ოქრო, დარიშხანი...

აღრევე ცნობილი იყო, რომ საქართველოში მოიპოვებოდა ნავთის საბადოები. იქანებოდა მოწანწევა-რებდა ნავთის წყაროები, ქონავდა ნავთი. უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცედ მოქიდა ხელი ნავთის ძიებას. მრავალ ალაგას იქნა აღმოჩენილი საბადო: შირაქში, მირჩანში, გურიაში...

ნავთს ეძებდნენ თბილისის ახლოს, ნორიოშიც, ბურლავდნენ მიწას და ის, 13 სექტემბერს უცრად მოხეთქა ჭაბურლილიდან შადრევანმა. აღმოჩნდა ნავთი, სამრეწველო მნიშვნელობის ნავთი.

ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრია. იგი იძლევა ნავთს, მარგანეცს, ქვანებშირს ბარიტს, გუბრინის, მანქანებს, და-გებს, აბრეშუმის ქსოვილებს, მაუდს, კონსერვებს, ფოლადს, დიორმიტს, შაქარს...



ეს ზემოაგიას ყვავის მცენარეები

საბოლოოდ გაიმარჯვა სოფლად საკოლმეურნეო წყობილებამ. ბეღნიერ ადამიანებს ისეთი სასიხარულო და გალაღებული ცხოვრება დაუდგათ, რომელზედაც წინათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ.

დიდიხიანია, რაც გლეხი ჭაბანწყვეტაში აღარ ატარებს დღეებს მის თითქოსდა განუყრელ კავთან და სხვა პრიმიტიულ იარაღებოთან. კოლმეურნებს ახლა აუარებელი მანქანა აქვთ. მინდვრები მოფენილია რამდენიმე ასეული ტრაქტორით, კომბაინით, ტრიერით, ძნათსაკონებით, კულტივატორით...

მანქანები გუგუნებენ კახეთში, ქართლში, იმერეთში, კოლხიდის ველებზე... ეს ველები სულ ახლო წარსულში ხომ ჭაობებით იყო დაფარული. კოლხები და ბაყაების დაეპყროთ ჭიბები, ბზუოდნენ, ყიყინებდნენ და შხამს ავრცელებდნენ.

თავისუფალმა ხალხმა ამოაშრო ჭაობები, მთაშორის კოლხიდას ქვეწარმავლები და უკვე ნოყიერი მინდორი დაფარა ძვირფასი უცხო მცენარეებით. რას არ შეხვდებით ახლა კოლხიდის გამომზრალ ველებზე: ჩის ბუჩქებს, მანდარინს, ფრონთობალს, ლიმონს, მუშელას, ფერხოს, გრეიბურუტს, ტუნგოს, გრანას...

ნამდვილი წლკოტია, ღეგენდარული წლკოტი ზამთრშიაც კი ყვავის მცენარეები და ატყვევები თვალს.

* *

დედამიწის ერთ მეექსედზე კაშკაშებს აქტომა ბრის ნათელი, ბრწყინვალე, მარად ჩაუქრობელი მზე, დედამიწის ერთ მეექსედზე საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმა. სტალინური კონსტიტუციით აღფრთოვანებული ხალხი სიხარულით მიიჩქარის წინ, კომუნიზმისათვის.

მარად და მარად იკაშებს ოქტომბრის ჩაუქრობელი მზე, იგი სულ ბალე გააბრწყინებს მძღვრად მოელ მსოფლიოს.





მილისი ქადაგი

თანხმობა მიღებულია

იყლისის ერთ მშვენიერ დილას ვერცხლისფერი თვითმფრინავი აიმართა შავი ზღვის ნაპირიდან — სევასტოპოლიდან და კურსი ჩრდილოეთით აიღო. ათი საათისა და 30 წუთის ფრენის შემდეგ ეს თვითმფრინავი თეთრი ზღვის ნაპირზე დაეჭვა, ქალაქ არხანგელსკში. რთული გადაფრენა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. და აი ბრუნდებიან დედაქალაქში ამ შესანიშნავი გადაფრენის მონაწილენი პოლინა ოსიპენკო, ვერა ლომაკო და მარინა რასკოვა.

დედაქალაქის სადგურზე დამხვდურთა შორის პოლინა ოსიპენკომ ვალენტინა გრიზოდუბოვა შენიშნა. პოლინამ წამსვე შეეითხეით მიმართა მას:

— როგორ არის საქმე?

ვალენტინა მოენგია მეგობარს და სწრაცად მიუგ:

— ყველაფერი რიგზე. თანხმობა მიღებულია!

და დაიწყო ქალთა მამაცი სამეულის: ვალენტინა გრიზოდუბოვას, პოლინა ოსიპენკოსა და მარინა რასკოვას სამზადისი შორეული, ძირდაუშებელი, საერთაშორისო სარეკორდო გადაფრენისათვის.

დაუღალვი ვარჯიში, როგორც დღით, ისე ღაშით, რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მეტონავი ქალები საწვრთნელი ვარჯიშის დროს ჰკერთინენ ცის უსაზღვრო სივრცეებს, არა მარტო მაშინ, როცა ის ლურჯი და კრიალა იყო, არამედ მაშინაც, როცა ცა წარბს შეიკრავდა და შავი ღრუბლებით და-

იფარებოდა. ფრენის სტატები ითვალისწინებდნენ, რომ სარეკორდო ფრენის დროს მოსკოვიდან შორეულ აღმოსავლეთში მათ ემუქრებოდა უარესი ამინდიც, და რომ საჭირო იყო მზადყოფნა ამისათვის.

უფროსი პილოტი გრიზოდუბოვა, მეორე პილოტი ოსიპენკო და ზტურმანი რასკოვა უდიდესი ყურადღებით სწავლის დანართის ახლადაგებული კოხტა თვითმფრინავის ყოველ დეტალს, იმ თვითმფრინავის, რომელსაც პატრიოტმა ქალებმა სახელიდ ყველასთვის საყვარელი სიტყვა „როდინა“ (სამშობლო) უწოდეს.

მოსამზადებელი მუშაობა ხალისით მიმდინარეობდა. ქალთა სამეულს ხალისს მატებდა უდიდესი შზრუნველობა, რასაც იჩენდა მათდამი პარტია და ხელისუფლება, კერძოდ კი დიდი სტალინი. საყვარელი ბელადი განუწყვეტლივ თვალყურს აღენებდა ამ სამზადისს. უფროსი პილოტი ვალენტინა გრიზოდუბოვა მუდამ აღტაცებით იგონებს იმ გულთბილ შეხვედრას, რომელიც კრემლში მოწყობით გაფრენის შინ. იქ იუნენ: დიდი სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, რაზა. ისინი უდიდესი ყურადღებით უსმენდნენ გრიზოდუბოვას, რომელიც უაბბობდა მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, საწვრთნელი ფრენისა და მომავალი გადაფრენის მარტინების შესახებ. ზალხთა ბელადი ეკითხებოდა გრიზოდუბოვას იმაზე, თუ რამდენად საიმედო იყო თვითმფრინავი, რომლითაც უნდა გაფრენილიყვნენ შფრინავი ქალები, თვითმფრინავის სხვადასხვა ხელსაწყოებზე, მეტეოროლოგიურ პირობებზე, და ამ შე-

ქოთხვებიდან გამოსჭეოდა ის-უდიდესი შზრუნველობა, რასაც იგი ყოველთვის იჩენს ადამიანის-ადმი.

სანატრელი დილა

დაღგა 24 სექტემბრის სანატრელი დილა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ გმირი ქალები. აეროდრომზე დიდი ფუსტუსია. დღეს ცაში აიმართება სამი მამაცი ქალი ერცხლისფერი ორმოტორიანი თვითმფრინავით.

შვეიდა და ტკბილი ძილის შემდეგ მხიარულად იღვიძებს „როდინას“ ეკიპაჟი. მათ მოლიმარ სახეზე ვერ ამოკითხავთ მღელვარებას; ისინი, სრულიად დამშვიდებული, მადიანად შეექცევიან დილის საუზმეს, წყნარად იკავებენ თავთავის ადგილებს თვითმფრინავში და წყნარადვე ელოდებიან სტატის მიცემას. ისინი შვეიდად გრძნობენ თავს, რადგან იციან, რომ მათ თან მიჰყვება საბჭოთა კავშირის მრავალმილობნიანი ხალხის თანაგრძნობა და სიყვარული, რადგან იციან, რომ მათვის ზრუნავს ხალხის ბელადი დილი სტალინი, იციან ის, რომ ეს სიყვარული და თანაგრძნობა, ეს ზრუნვა და ყურადღება მათ გამოიყვანს ყოველგვარი მოსალოდნელი გასაჭირიდან.

რამდენიმე წუთიც — და შჩელკოვის აეროდრომს მოსწყდა თეთრი არწივი, აიმართა მაღლა, მაღლა და გასწია იღმოსავლეთისაკენ. რადიოსადგურები გაფაციცებით იქცერდნენ რადიოგრამებს თვითმფრინავ „როდინადან“.

მაგრამ 25 სექტემბერს რადიოკავშირი თვითმფრინავთან შეწყდა. „როდინას“ ეკიპაჟის ბედი გამოუცნობი იყო. რაღოოსადგურები ამაռდ ცდილობდნენ აღედგინათ კავშირი „როდინას“ ეკიპაჟთან. დაიძრა თვითმფრინავთა მთელი წყება „როდინას“ საქანელად, მაგრამ ძებნა 9 დღის განმავლობაში უშედეგო იყო.

„როდინას“ მკიპაჟი აღმოჩენილია

სამ იქტომბერს, 10 საათსა და 30 წუთზე, ქალაქ ქომისომლსკიდან ოთხი თვითმფრინავი აფრინდა დავალებით — ეჭარმოებინათ თვითმფრინავ „როდინას“. ძებნა კერძის რაიონში. თვითმფრინავებს მართვდნენ: სახაროვი, რომანოვი, ბურლაკოვი და დერკუნსკი. რაშიმ კერძის რაიონში ორ ნაწილად გაიყო. ცა ლურჯად კამპანებდა, თითქოს ბუნებაც ხელს უწყობდა მფრინავებს დავალების კარგად შესრულებაში. კერძიდან 60-70 კილომეტრის დაშორებით 700 მეტრის სიმაღლიდან მფრინავმა სახაროვმა დაბლა რაღაც თეთრი ლაქა შენიშნა. ის ყურადღებით დააცეკრდა იმ თეთრ ლაქას და გარკვევით შენიშნა ორმოტორიანი თეთრი თვითმფრინავი და იქვე ორი ადამიანი, რომელიც დარბოლენ მანქანის ირგვლივ და გახარებული იქნებოდნენ ხელებს. ცოტა ხნის შემდეგ „როდინას“ თავს დასტრიალებდა ბურლაკოვის მანქანა. მალე სახაროვი და ბურლაკოვი დაბრუნდნენ კომსომლსკს, რათა

მთელი მსოფლიოსათვის ეცნობებინათ სასიხარულო ამბავი: თვითმფრინავი „როდინა“ აღმოჩენილია.

4 ოქტომბერს სახაროვი ისევ გაფრინდა „როდინას“ ბანაკთან და ჩაუყარა მათ თბილი ტრიუმფული და პროდუქტები. თვითმფრინავთან ისევ ორი ქალი იდგა.

სადღაა მესამე?

პირობითი ნიშნებით მფრინავმა ქალებმა აცნობეს სახაროვს, რომ შტურმანი მარიხა რასკოვა თვითმფრინავის დაშვების წინ პარაშუტით გადახტა. ახალგაზრდა მფრინავი 6. დერკუნსკი, რომელსაც დავალებული ჰქონდა შტურმან მარინა რასკოვას პოვნა, გულდასმით ათვალიერებდა მიწის ყოველ პატარა ნაწილს. „როდინადან“ ათი-თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით დერკუნსკიმ ბოლი შენიშნა. შეტად გააოცა მფრინავი ასეთ უკაცურ ადგილას ბოლის დანახვაშ. რამდენიმე წუთის შემდეგ მან შენიშნა ადამიანი, რომელიც სწრაფად მოძრაობდა და ცხვირსახოცის ჰერმი პაროლით ანიშებდა მფრინავს, რომ ის პარაშუტით გადაოხტა.

დერკუნსკიმ რასკოვას ჩაუგდო პროდუქტებით სავსე ყუთი.

მძიმე გზა

შჩელკოვის აეროდრომიდან აფრენის შემდეგ „როდინა“, ურევად ჭრიდა ჰაერს და აღმოსავლეთისაკენ მიექინებოდა. მას ვერ აბრკოლებდა ღოუბლიაშობა, ქარიშხალი, ციქლონი...ის გვეთდა ჰაერს 4.500 მეტრის სიმაღლეზე და ამაყად დასცეკროდა იატაკად გაშლილ შავ ღოუბლებს. მძიმე ძეტეოროლოგიური პირობების გამო ფრენა მეტწლად ბრძად წარმოებდა, თვითმფრინავი კი მაინც მიეროდა მიზნისაკენ. და აი „როდინა“ უკვე დასტრიალებდა შორეულ აღმოსავლეთის თვალუწვდენელ ტაიგას. მაგრამ ძებნის ძაოვი ამოიჭრა. მალე მოტორებიც გაჩერდნენ...საჭირო გასდა დაშვება. დაბლა ტყეა და მაღლამები... ვაკე ადგილები კი ჭაობიანია. „როდინა“ ჭაობში უნდა დაეჭვას — ასეთია პილოტ გრიზოდუბოვას გადაწყვეტილება. მაგრამ ის ყველაზე მეტად მეგობარზე წუს. ძალიანად მინებისაგან შემდგარი კაბინა, რომელშიაც შტურმანი მარინა რასკოვა ხის, თვითმფრინავის ცხვირთან მდებარეობს. დაშვებისას მოსალოდნელია



ამს. გრიზოდუბოვა ესპანელ ბატალიონის.

თვითშეფრინავი ცხვირით დაეცეს, მაშინ საფრთხეში ჩაგრდება. შტურმანის ჯანმრთელობა. და აი მარინა ბარათს ღებულობს. სამსიტყვიანი ბარათით ვალენტინა გრიზოდუბოვა წინადადებას ძლიერს რასკოვის გადახტეს პარაშუტით. მარინა აყვენებს ბრძანების შესრულებას. მას ექნელება ქვირფას მეგობრებთან განშორება. მაგრამ რასკოვა კვლავ ღებულობს ბარათს...ირგვლივ სიჩემეა, მხოლოდ ქარი წივის ყურებში... ნისლით დაბურული მიწა თანდათან ახლოვდება. წუთიც—და ორიათასი მეტრის სიმაღლიდან მამაცი შტურმანი პარაშუტით ეშვება უკაცურ ტაიგაში.

ახლა კი გრიზოდუბოვის შეუძლია უშიშრად დაფრინდეს ჭაობიან ველზე. ოსტატი მურინავი ახერხებს დაშვებას სრულიად უკნებლად, მანქანის დაუზიანებლად.

ეს მოხდა 25 სექტემბრის დილას.

მარტოდებართო პრუ ტაიგაში

— სადა ვაჩ? შორსა ვარ თუ არა თვითმფრინავიდან? — აი კითხვები, რომლებზედაც არავინ აძლევს პასუხს მარტოდ მყოფ რასკოვას.

უკაცურ ტაიგაში სიწყნარე სუფევდა.

მარინამ ჯიბები მოისინჯა. შოკოლადის ორი ფილა. ასანთი. რევოლვერი. 18 ვაზნა. აი მთელი მარაგი.

— არათერია, გავძლებ,— გაიფიქრა რასკოვამ. პირდაპირ წავიდეს თუ მარჯვნივ? არ იცის.

რასკოვა მანც მიდის... მას კარგად ესმის შაშხანების სროლის ხმა. ეს გრიზოდუბოვა და ოსიძე-



ნერ ისცრიან, რომ ვაუდვილონ მეგობარს გრძის მონახვა. მაგრამ სწორედ სროლის ხმა აპნეუს ასკერვას. ყრუ გამოძახილს საწინააღმდევო მხარეებს მიზყავს იგი.

მიდის მარინა... გზა ჭაობიანია, ძნელდება საფრინდებელი გზადაგზა დაუპატიჟებელი სტუმრები ეგბებიან— ესენი დათვები არიან. ზოგიერთი მათგანი პირველად ხედავს ადამიანს, ეშინია და გარბის, ზოგი კი მამაცია და გაბედულად უხვდება წინ... ეშირად ისმის არასასიმოვნო მუსიკა— დათვების შემზარვი ღრიალი. მათი მოვერიება მხოლოდ რევოლვერის სროლით ხერხდება.

დღეები მიდის, რასკოვა კი ისევ მარტოა. იკვებება შოკოლადის მცირე მარავით და გზად ნაპონი სოკოებით, ღამლამე ხების ქვეშ სძინავს ნახვრად ღია თვალებით... მას აწმებდა წყურვილი, დასალევად კი მხოლოდ ჭაობის მწარე წყალს შოულობდა. მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ მარინა არ დაცემულა სულით. რასკოვას სწავლა, რომ მას დაისნიდნენ ამ გასაჭირიდან.

მეათე დღეს შემოესმა მოტორების გუგუნის ნაცნობი ხმა... ტაიგას თვითმფრინავი დასტრიალებდა.

— მეძებენ,— გაიფიქრა რასკოვამ.

დაქანცულ მარინას სიხარულმა ძალა შექმატა. მან ტექში კოცონი გააჩალა და დაიწყო ირგვლივ სირბილი და ხტომა.

მფრინავმა დერკუნსკიმ ადვილად შენიშნა კოცონის ირგვლივ სურაფად მოძრავი მარინა რასკოვა. დერკუნსკიმ მაშინვე ჩამოუგდომ ბროდუქტებიანი ყუთი. 9 ღლის მშეერი მაღიანად შეექცა გემრიელ საჭმელს. დერკუნსკიმ ანიშნა მას „როდინას“ მიმართულება. გავიდა კიდევ ერთი ღლე. 5 ოქტომბერს რასკოვა, ხანგრძლივი სიარულის შემდეგ, ტყიდან ჭიობიან ველზე გავიდა და შორს, 3 კილომეტრის მოშორებით, თვალი მოჰქონდა თვითმფრინავის ვერცხლისფერ ფრთებს. დაქანცულ რასკოვას სულ მალე წინ შეეგებნენ ძვირფასი მეგობრები ვალენტინი და პოლინა.

— მარინა! — მარინა! — შეტყვირეს ქილებში და დიდხანს, დიდხანს ჰკოცნილენ მას.

განთავისუფლდეთ ტაიგის ტყვეობიდან

„როდინას“ ბანაქში მარინას მეგობარ ქალებთან ერთად თახი ამხანაგი დახვდა. ესენი იყვნენ პარაშუტით ჩამოშვებულნი: კაპიტანი პოლევაევი, ლეიტენანტი ერემინი, ლეიტენანტი ოლიანიშევი და სამხელო ექიმი ტიხონოვი.

ბანაკი ცხრა კაცის შემადგენლობით მალე დაიძრა მდინარე ამგუნისაკენ, სიღლანაც ნავებით გაემართენ დასახლებული ადგილისაკენ.

მამაცი ქალები უკვე დახსნილი იყვნენ ტაიგის ტყვეობიდან. სიხარულმა და აღტაცებამ მოიცავა მშრომელი ხალხი. საბჭოთა ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორიის ყოველი კუთხიდან დაიძრა მისალოცი დეპეშები.

ქალთა სამეულის გადაფრენა — მოსკოვი-შორეული აღმოსავალეთი — ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. გმირმა ქალებმა 26 საათსა და 29 წუთში დაფარეს 6,450 კილომეტრი მარშუტით, ხოლო 5,947 კილომეტრი პირდაპირი ხაზით, რითაც 1,500 კილომეტრით გადაჭარბეს საერთაშორისო რეკორდს.

ამ რამ აღაფრთოვანა ყოველი საბჭოთა მოქალაქე. და ეს აღტაცება, ეს სიხარული მკვეთრად

გამოიხატა დიდი ბელადის სტალინისა და მთავრობის მეთაურის მოლოტოვის მისალმებაზი:

„ოქვენი სიმამაცე, სიმტკიცე და ფრენოსნობის მაღალი ოსტატობა, რაც გამოიჩინეთ გზასთავი და მარშუტი შეების უძნელეს პირობებში, მოელი საჭიროა მისალმებაზის იღვევების აღტაცებას იწვევს.“

ვამაყობთ თქვენით და სულით და გულით გართმევთ ხელს“.

სახელმწიფო გარემონტი



ზეარში მზემ გაღმოიხედა,
დილა ისევ კურიანი,
სხივებმა ქარეა დაჲყარა
და ფოთლებს არხევს ნიავი.

ჩამომტყვა შარის ხმაური
და ქალ-გაეგების ყიურია...
თითქოს მათ გვერდით ხალისშაც
გენახში შემოიჩინა.

ჰქურეფენ, და მწიფე მტევნებით
სწრაფად ივსება კალათა;
გულიც შარბათით საესეა,
როველმა რომ შემოანათა.

და ამ მხიარულ რთვლობაში
ჩევნთან რა უნდა უგულოს,
ვკრიფოთ და ვკრიფოთ ყურძენი,
სიმღერა დავაგუგუნოთ!

მიღის დოვლათი მარნისკენ,
ურემი მძიმედ ჭრიალებს.

— მგზავრო, კეთილ ვაშკაცო,
აქეთენ ჩამოგვიარე.

ჯერ ტკბილი მაჭრით დაგელუოცემ,
შემდევ გვითხარი მაღლობა,
ინებე, დატკბი ყურძნითაც,
გამოვვიცდია მგზავრობა.

აბა, ბიჭებო, გაჭკარია,
ჩხებიც საჭერით; აკიდოც.
როვლობა გვექნება ყოველთვის;
ჩვენი ცხოვრება ვადიდოთ.

ვადიდოთ მიწის ბარაქა,
ჩვენთან რა უნდა უგულოს,
ვკრიფოთ და ვკრიფოთ ყურძენი;
სიმღერა დავაგუგუნოთ.



ბ'ობ'



მერვე შელიწადია, რაც პაპა მიხაელმ მხედველობა დაკარგა. თვალებზე სქელი ლიბრი გადაეფარა, მთლად გაუთეთრდა თვალის კაჯლები. მეხსიერებაც ჰლალატობს: ავიწყდება ვინ რა უთხრა, სად რა გაიგონა და ვის რა გაუკეთა. ხშირად ჯავრობს თავის ასეთ გულმავიწყობაზე და ხანდახან წარსული დღეების მოგონებით გულაჩურებული უხმოდ იწმენდა აცრემლებულ უსინათლო თვალებს. მას ყველაზე ძლიერ ის აწყებს, რომ მისი ერთადერთი ნუვეშის — პატარა გიგას სახეც აღარ ახსოვს კარგად. გიგა 6 წლისა იყო, როცა პაპა მიხაელმ უკანასკნელად დაინახა, შემდეგ ბევრი რამ მოხდა. ერთადერთი შეილი მოუკვდა, რძალმაც თავისი ვზა მონახა, და პაპა მიხაელმ შეოლოდ გიგაღა შერჩა.

დილით, როცა გიგა სკოლაში მიდის, პაპა მიხაელმ თავის საქმეს შეუდგება: დერეფანში ხის ნაჭრებსა და ნაფორტებში ჩაჯდება, წინასწარ გიგას მიერ მომზადებულ ხეს აიღებს და ნელა, ბრძის სიფრთხილით თლის. ამ ხილან ის ჩინგურს აეთებს. რამდენიმე უკვე დამზადებული ჩინგური იქვე კედელში დატანებულ რქაზე უკიდია. პაპა მიხაელმ შეძლების-დაგვარად სახეებიც გამოუყვანია ჩინგურის ყელზე და სიმის გასაჭიმი ჩხილებზე. როცა ჩინგურის თლა მოსწყინდება, მაშინ პაპა მიხაელმ სიფრთხილით წავა თუთის ხისაკენ, გამხმარ ტოტზე ჩამოკიდებული ყოჩის ნედლ ნაწლავებს ჩამოხსნის და ხეეწას დაუწყებს. აქედან სიმებს აზადებს, გაშრობს, გაკიმიგს და დამზადებულ სიმებს ჩინგურს გაუბამს. შემდეგ ხელს მიუსმოუსვამს, შეამოწმებს და ნელა ჩამოკრაიას დაკიურებულ თითებს. იმდენს უკირკიტებს, სანამ კარგ ხმაზე არ დააყენებს, რიგინად გამართავს და, თუ ხსიათზე, დაამლორებს. ასეთ ხასიათზე კი პაპა მიხაელმ ხშირადაა.



აი დღეს, როცა გიგა სკოლიდან ბრუნდებოდა, ეზოში შესვლისთანავე მოესმა პაპის სიმღერა. ფეხაკრეფით მიუალოვდა, თუთის ხეს მიეყრდნო და სმენად გადაიქცა. მძიმედ მლეროდა პაპა მიხაელმ. მისი ხმა ტქბილი იყო, ხავერდოვანი, მაგრამ სევდია-

ნი და გულდამთუთქავი. ჩინგურიც დაბალ ხმაზე ღულუნებდა, პაპა მიხაელმ მოგუგუნე ხმაში იხლართებოდა და მიუჩებულ დერეფანს ნაზი შრიალით თავს ევლებოდა. მოხუცის ფეხთით წამოწოლილი ძალი სმენად გადაქცეულიყო, თავი წინა ფეხებზე დაედგა, ყურები წამოეცევიტა და გაოცებით ისმენდა სიმღერას.

გიგამ დიდხანს უსმინა პაპას, გული სიამით აევსო. შემდეგ ნელა მოსწყდა თუთის ხეს და დერეფანში გადავიდა. მიხაელმ მიხედა გიგას ფეხის ხმას. ჩინგური ზევით ასწია და მოსულს მიშვართა:

— აბა, ნახე, როგორ მოგეწონება ეს ჩინგური. გიგამ სიფრთხილით აიღო და სიმები შეარხია.

— უჰ, ეუ როგორ ჩამოკარ, — იწყინა პაპა მიხაელმ, ჩინგური გამოართვა, შვილიშვილი გვერდით დაისვა და თავისი დაკვრა მოასმენინა. გიგამ გამეორება სცადა, პაპას ჩინგური გამოართვა და კვლავ შეარხია სიმები. მოხუცის სახეზე კმაყოფილების ღიმილი ათამაშდა, ღაწვები უჩვეულიდ შეუთროოლდა და პატარა გიგას დაკვრა მაუწონა.

ასე გადიოდა დღეები. პაპა მიხაელმ ჩინგურებს აკეთებდა, ჰყიდდა და იმით აქმაყოფილებდა ოჯახის წვრილმან მოთხოვნილებას. გიგა სკოლაში დაღიოდა, შემდეგ პაპის დავალებას ასრულებდა: წყალს მოიტანდა, შეშას დაჭრიდა და სხვა მრავალ წვრილმან საქმეს ასრულებდა, სალამობით კი, როცა პაპა ჩინგურს დაუკრავდა ან იმღერებდა, გულდასმით უგდებდა ყურს და უხმოდ იმღორებდა მის ნათქვამს. ხოლო შემდეგ, როცა ეზოს გასცდებოდა, ცდილობდა პაპასათვის მიებაძა და თავისთვის ხმადაბლა ღილინებდა. მისი ერთადერთი მსმენელი ბოოვერა ძალი ან რომელიმე მეზობლის ბიჭი იყო.

* *

იმ ხალამის მთვარემ დაიგვეიანა. ეზოები სიბნელით იყო მოცული. პატარა ბიჭები ფეხაკრეფით მიიჩეაროდნენ შინისაკენ. შარაზე ჟაგვიანებული ურემი მიჭრიალებდა. სოფლის თავში ქოფაკის ყეფა ისმოდა.

პაპა მიხაელმ ეზოში იღვა. ყავარჯენს დაჟუდებოდა და ბრმა თვალები დედამიწისთვის დაჟტერებინა. სიბნელეში საფრთხობელასავით მოჩანდა მოხუცი. ადგილიდან არ ინძრეოდა. იქვე ახლო ძალი წამოყუნტებულიყო და კუდის ხანგამოშვე-

ბული ქნევით პატრონს შეჰყურებდა. ბებერი თუ-
თის ხე ბურინში წასულიყო, დაკბილული ფოთლე-
ბი გაერინდებინა და სიბნელეში ჩაუკრსულიყო. პა-
პა მიხაკოს ჩასთვლიმა, გათეთრებული თავი ჩამო-
კანტურა, შეიშმუშნა და გასწორდა. ყური გაამახვი-
ლა...ეს რა ესმის? ნაცნობი ხმა! ისე ჭავას პაპა მი-
ხაკოს ხმას, რომ მოხუცს მოთმინება დაეკარგა, ყა-
ვარჯენი წინ ვაიშვირა, მიწა მოსინჯა და წინ წად-
გა. სმენად გადაიქცა. საღამოს სიმშვიდეში მკაფიოდ
გაიგონა ლალი, მომაჯადოებელი სიმღერა. მოხუცის
გული სიამით შეთორთოლდა.

სიმღერა უფრო გაძლიერდა, მოხუცის ირგვლივ
პაეროვანი ნარნარით შეიქრა და პარმონიული შლე-
რით ეზოში ჩაიჯირითა.

— ნეტა ვინ არი ეს დალოცვილიშვილი? — წარ-
მოთქვა სხახულით მოხუცმა და ცოტა კიდევ წაი-
წია. ახლა სულ მკაფიოდ გაისმა:

„სადაური ხარ, დედილო...ო...ო
სადაური გყავს ქმარი...ო...ო“.

ეს ხომ პაპა მიხაკოს საყვარელი ურმულია, ამ
ლექსს ხომ ისიც მღეროდა ხოლმე, როცა ურმის
კოფონე იჯდა ჯანღინით სავსე, და მერე ხმა...ეს
ხომ მისი საყვარი ხმაა, სწორედ ამნარი ხმით
აჯადოვებდა მშენელებს. მოხუცი ათრთოლდა.
მზად იყო მასაც წამოეწყო საყვარელი ურმული...

სიმღერა გაისარდა... სულ ახლო ისმოდა, ხან
მინაზდებოდა, მისუსტდებოდა, კდემამოსილებითა და
სიკეკლუცით დაიფარებოდა, ხან კი აქუხდებოდა,
მოვარდინილ ნიაღვარს დაემსვავსხბოდა, აბორგე-
ბოდა, რაკრაკებდა, ჩუხჩუხებდა, იფრევეოდა პაე-
როვან. ბერათა ნაკადა, ირწეოდა მსუბუქად, მი-
ცურავდა ზევით-ზევით უსაზღვრო ცისაკენ და შო-
რეულ ღრუბელთა თეთრ ქულებს ნაზი რხევით ეპ-
კურებოდა.

პაპა მიხაკო სულ გაინაბა, გაჩერდა და მხოლოდ
მაშინ გამოერკვა. როცა ძალმა ალერსით შესწ-
კმუტუნა და გაიქცა.

— ბოთვერა, ჩემო ბოთვერა, — მოისმა ალერსიან
ხმა, და პაპა მიხაკო გიგა იცნო. ეხლა კი მიხედა,
რომ ეს მშვენიერი ურმული მისი შვილიშვილის
ყელიგან ამოდიოდა.


— ბიჭი გიგა, მომიახლოვდი, შვილო, სადა
ხარ? — ძლივს წაილულულა გრძნობამოჭარბებულმა
მოხუცმა და ხელები წინ გაიშვირა. პატარა გიგა
პაპის წინ წარსდგა და ცქრიალა თვალები ბრმა
თვალებს მიაშტერა. მოხუცმა წყნარად მოუსვა
შვილიშვილს ხელი, მოსინჯა, ძლიერ გაზრდილი
ეჩვენა. გულით უნდოდა მოხევოდა, დაეკოცნა ეს
ახლადამოაქებილი მომღერალი, მაგრამ რაღა-
ცის ერიდებოდა, სცხვენოდა პატარისა; როგორც
იქნა, ეს სურვილი ხელის მოსმით გაიქარწყლა და
მთრთოლვარე ხმით ჰკითხა:

— ეხლა რამდენი წლისა ხარ, შვილო?

— მეთოთხმეტეში გადავდექ.

— ჴო, ჴო, მართალია, მეთოთხმეტეში ხარ, —
წყნარად წარმოთქვა მოხუცმა და მეტი ველარაფე-

რი მოახერხა. უნდოდა შეექმ, სიმღერა მოეწონებინა, ზოგი
რამ თავისი გამოცდილები-
დან ეოქვა, მაგრამ თავი შეი-
კავა.



იმ საღამოს პაპამა და
შვილიშვილმა მეტის თქმა!

ვეღარ მოახერხეს, უნდოდ დაწვნენ დასაძინებლად.
შვილშვილს მალე ჩაიძინა და გათენებამდე აღარ
ამდგარა, პაპა კი დიდხნობამდე არ დასძინებია და
გათენებამდე ერთხელ კიდევ დატოვა ლოგინი. ეს
სწორედ მაშინ იყო, როცა მამლებმა პირველად
იყვლეს. პაპა მიხაკო წყნარად წამოჯდა ლოგინზე.
ამჯერად უყვარჯნოდ წამოდგა ფეხზე. დიღანს
იდგა ასე. შემდეგ დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა
გიგას ლოგინს. ხელის წყნარი ფათურით მოსინ-
ჯა მძინარე ბიჭის თავი, სუნთქვაშეკრული დაიხარა
მის სარეცელზე და, პირველად თავის სიცოცხლეში,
ჟრტვულად აკოცა საკუთარ შვილიშვილს.

ამ შემთხვევის შემდეგ პაპა მიხაკო თითქმ უფ-
რო გამხიარულდა. ჩვეულებრივზე მეტს მღეროდა,
ჩინგურს ხმირად უკრავდა; იგრძნობდა თუ არა ვი-
გას იქ ყოფნას, ძველ შირებსა და სიმღერებზე
ჩამოაგდებდა ლაბარიას. ხანდახან გუნდურ სიმღე-
რისაც კი წამოიწყებდა, ისევე, როგორც ამ 30-40
წლის წინათ უმღერია. გიგა გრძნობდა პაპის ასეთ
გამხიარულებას და თვითონაც უხაროდა; ხან ისიც
აჰევებოდა სიმღერაში, და ბოლოს ისე შეეჩივნენ
ერთმანეთს, რომ ხმირად პაპა და შვილიშვილი,
დიდიხნის მომღერლებივით ხმაშეწყობილი, რომე-
ლიმე რთულ სიმღერას ასრულებდნენ.

პაპის მეცადინებამ შედეგი გამოიღო, გიგას
ბუნებრივი ნარნარი ხმა სასიმღეროდ მოიქნა და
ამიერიდან როცა კი დრო მიეცემოდა, პაპის მიერ
გათამამებული ბიჭი ღილინებდა და თვითონაც ალ-
ტაცებული იყო თავისი სიმღერით.

სკოლის მეგობრები ხმირად ეხვეწებოდნენ გი-
გას, დაემღერებინა ჩინგურზე. ან მისებური ურმუ-
ლი შემოეძახა. გიგა ჩვეულებრივ მორცებოდა, ძა-
ლიან ძუნწად მღეროდა ხალხში, მეგობრებში კი
უფრო თამამი იყო და გაბედულად დაიწყებდა თა-
ვის საყვარელ ურმულს. მალე გიგას მომღერლისა და
მეჩინგურის ხმა გაუვარდა, მისი სახელი ყველამ
იცოდა სოფელში. განსაკუთრებით ამ ერთი კვერის
წინათ შეიქნა ცნობილი. მან რაიონულ ოლიმპია-
დზე პირველი ჯილდო მიიღო და თავისი სოფელი
ასახელა. ხმა გავრცელდა: გიგა ქალაქში უნდა გა-
გზვნონ და რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მიაღები-
ნონ მონაწილეობა.

* * *

მეორე დილით გიგამ ახალი ხალათი ჩაიცვა,
პოხჩაში ერთი დღის საგზალი გმოკრა, პაპის ჩინ-
გური ილლიაში ამოიჩარა, თავზე თუშური ქუდი
შეისწორა და საყვარელ მოხუცს გმოეთხოვა.

პაპა მიხაკო მანაშ იდგა ეზოში, სანაშ ორლობეში კიდევ ისმოდა მიმავალი გიგას ფეხის ხმა, როცა მიწყდა, დერეფნისაკენ შებრუნდა, ქანხე ჩამჯდა და ფიქრებში ჩაიძირა.

ოპერის თეატრი სახეიმოდ იყო მორთული: გიგა თავისიანებს არ შორდებოდა, მორცხვობდა, სულ უკან იწევდა და მობუზული დაღიოდა.

ი შეიყვანეს დიდი თეატრის კულისებში. აურებელი ხალხი იყო. უმრავლესობა ჩოხებში გამოწყობილიყო, გიგასავით პატარები სულ არ ჩანდნენ. ყველა ჭანარად ლაპარაკობდა, ჩურჩულებდა. იქით, თეატრის სიღრმეში, უამდავამ ტაში იქცხდებოდა, თან შეძინილ ერთვოდა და თეატრის შენობა ზანზარებდა. გიგას სიხმარში ეგონა თავი. ამდენი სანახაოებით გაბრუედა, ყველაფერს გაშტერებული უყურებდა და ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. ჩინგრე მაგრად ჰქონდა ჩაბლუჯული. გიგას აცახცახებდა უჩვეულო მოლოდინში...

ცოტახნის შემდეგ კარგად გაიგონა იმ კაცის ხმა, ყოველთვის რომ აცხადებდა შემსრულებლების გვარებს:

— მეჩონგურე სილნალის რაიონიდან — გიგა ბეგვალი.

გიგამ ზურგში ბიძგი იგრძნო. გაუბედავად გასცილდა ფარდებს და იქ შეჩერდა, სადაც სკამი იდგა. გაუბედავად ჩამოჯდა სკამზე და პაპისეულ ჩინგურზე მორცხვად ჩამოჰკრა პატარა თითები. ყველა გაინაბა. დაბადულ სიჩუმეში გაუბედავად გაისმა მეჩონგურის წკრიალა ხმა:

ი მენი დედის ჭირიმე,
კინაც გიმღერა ნანაო,
კონც თავის კალთით გაზარდა
ბელადი შენისთანი...

ქველაც ბიანჩარდა დარბაზი, შეძახილებმა ააფორდეს ჰაერი. მეორედ მეღრის სოხოვდნენ მოძღვრებლს. გრე უხმოდ იდგა. შემკრთალი ბთვალიერებდა მაყურებელთა ჩიჩქოლსა და სიხარულს. წასელა შერ მოქერხებინა, ქამარში გაჩერილი ქუდი ამოუტარდა და სულ დაიბნა. ტაში კი არა ცხრებოდა, ბორგველა, იზრდებოდა, კედლებს აწყდებოდა და მრვალ გამძახილდა იმსხვრეოდა დარბაზს სიტრცეში.

როგორც იქნა, დასწევდა ქუდის, დაიხურა. ერთი კიდევ მოიხედა ხალხისაკენ და, თხოქოს კინმე მისდევს, აჩქარებით გავიდა.

ტაშის ქარიშხალი უფრო გამძატრდა, ზედ შეძახილები დაერთო...

— გადი, კიდევ იმღერე, გადი! — მიმართა ვიღუამ, მავრომ გიგა უკან იწევდა, ხმას ალარ ილებდა. ხმაური კი იზრდებოდა. ტაში ქუდა და მაყურებელთა რიგები მომშინებადა კარგული ნერვიულობდა.

გიგა კვლავ ბიძგით შეიყვანეს სცენაზე. უკანა ფარდასთან გაჩერდა. თავი იღნავ ჩაღუნა და ხალათის კალთას სრესა დაუწყო. ტაში მანელდა მაყურებლები მოუთმენლად შეპყურებლენენ კარგი უზარეს სებიდანაც განაბულნი იყურებოდნენ... გამოიყენეთ ეს განაბულება

ერთი კვარის შემდეგ გიგა სოფელში ჩავიდა. პაპას მხურვალედ გადაეხვია. ბევრი რამ უამბო და ბოლოს ჯილდოლ მიღებული ათასი მანეთი გადასცა. — შეინახეო, — ძლიერ დაატანა.

პაპა მიხაკომ მოსინჯა, ბრმის ალლოთი იცნო ფული, ჯიბეში ხელსახლც დაუწყო ძებნა და თან დასძინა:

— კარგია, შეილო, შეგინახავ, ფული საჭიროა. ხალათი ალარ გაქვს, მესტებიც დაგიცვდა, ჩვენებიან თებროს დაუძახე ხვალ და ის გიყიდის, მაღლიანი დედაკაცია.

— არა, პაპა, მე არაფერიც არ მინდა, მესტები რად მინდა, შენი ამოსხმული ქალმები უფრო კარგია.

— ხალათი ხომ გინდა?

— არც ხალათი მინდა, აერ მაქეს.

გიგას ხმაში რაღაც

საიღუმლოება ინახებოდა. მოხუცი დაეჭვდა და უფრო დაუინებით დაუწყო გამოკითხვა.

— რატომ არ გინდა, ბიჭო, აბა დედოშობილა ხომ ირ ივლი?

გიგა უხმოდ იჯდა და დირეზე ჩხირით აფხაჭუნებდა.

— მაშ რა გინდა, შეილო, რატომ არ იტყვი? — შეეკითხა კვლავ მოხუცი.

— აი... მატარებელში რო მოვდიოდი... — წერ მოიწყო გოუბედავად გიგამ და ხმა ისევ ჩაუწყდა.

— მერე რომ მოდიოდი...

გიგამ თავი ჩაღუნა, ჩხირით ფხაჭუნს მოუმატა და განაგრძო: — მატარებელში რომ მოვდიოდი, ერთი შენსავით კაცი ენახე, შენსავით თეთრი წვერი ჰქონდა. თურმე წინათ შენსავით ლიბრი ჰქონდა გადაკრული და ქალაქში მოურჩენიათ... იქნებ შენც აგიხილონ თვალები.

მიხაკო პაპას არაფერი უბასუნია, დაკოურილი ხელით შვილიშვილის თავი მონახა, გულზე მიიხუტა და დიდხანს, დიდხანს ჰკოცნიდა.

სამი თვის შემდეგ საღვალებიანი პაპა მიხაკო და პატარა გიგა ქალაქში ნახეს, მუსიკალურ. ტექნიკუმში. პაპა მიხაკო გამგეს სოხოვდა მისი შვილი შვილი ტექნიკუმში მიეღოთ და სიმღერა ესწავლებინათ.



ნალი

(დასასრული *)

დამარცხებული თურქები თავიანთ ქვეყანაში რომ დაბრუნდნენ, ირანს ზღაპარივით მოედო ქართველთა ძლევამოსილებისა და სიმამაცის ამბავი.

დიდი სულთანი შიშმა აიტანა. პალესტინაში რომ დამარცხდა, მერმე საქართველოზე მომართა იერიში, მაგრამ საკუთარი ძალით ძევლი მოხარკე ქვეყნებისაკენ წამოსვლას ვეღარ ბედავდა; მან დაიბარა ვეზირები, მოხუცი მარჩევდნენ, რომ რაიმე გზა გამოენახათ. ერთი მოხუცი, რომელსაც დიდი თმა და წვერ-ულვაში ჭრონდა, წინ წამოდგა მეფესთან, გულხელდაკრეფილმა უმორჩილესი თაყვანი სკა მბრძანებელს და მოახსენა:

— ქართველ ტომთა გამარჯვება მაოტო ჩვენი საფრთხე კი არაა, არაბეთმაც თვალი უნდა გააძილოს...

სულთანს არაბეთის ხსნებამ ნათელი მოჰტინა, ამ სიტყვამ ისე გაახარა, თითქოს არაბეთის სახელმწიფო ამ მოხუცმა ვეზირმა აღმოაჩინა პირველადო.

— თუ არაბები დაგვეხმარებიან... ჰო, მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ, — უცებ დაასკვნა სულთანმა.

— რასაკვირველია, მოწყალეო სულთანო! — ვეზირმაც ლრმა რწმენით მოახსენა.

სულთანმა სასწრაფოდ გამოყო კაცები არაბეთში გასამგზავრებლად. დიდი მბრძანებლებს განკარგულებას ვინ აღუდებოდა წინ. ირანელი მოციქულები ესტუმრნენ არაბეთის მეფეს დურბეზს. დურბეზმა სიხარულით მიიღო ირანიდან მოსული სტუმრები, რომლებმაც გადასცეს სულთანის მეგობრული სალამი და კეთილი სურვილები, მიართვეს ძირფასი ძღვენი და მოახსენეს:

— კეთილი ინებე, დიდო მეფეო არაბეთისა დურბეზ სადაყას-ძევ, რათა შეაწყნარო თხოვნა ჩვენი სულთნისა. ჩვენ დავმარცხდით პალესტინაში, ქართველებმაც ყელი გვიშვეს. სულთანმა მოგახსენათ, ქართველების გაძლიერება თქვენთვისაც ცუდია და ჯარით დახმარებას გთხოვთ.

დურბეზი სულთანის მომართვამ ლრმად დააფიქრა, ფრიად დაღონდა. მაშინვე გადაწყვიტა ჯარით დახმარებლად და მოციქულებს აღუთქვა:

— ჯარს ჩქარა გამოვგზავნი, შესანიშნავ სპასალარებს შევარჩევ და თავნება ქართველობას ურ-

*) დასასრული. ის „პიონერი“ № 9

ჩობისათვის მიწასთან გავისწორებთ, ვასწავლით, როგორ უნდა მორჩილთაგან ძლიერთადმი ერთგულება და პატივისცემა.

სულთანი დურბეზის პასუხმა ფრიად აღაფრთოვანა და ოქვა—ქართველებს დიდი რისხვით მოვევლინებით. არაბეთიდან მართლაც დიდი ლაშქარი დაიძრა. ჯარისკაცებს ამ შორეულ ქვეყანაში წამოსვლა არ უნდოდათ. მაგრამ რა უნდა ექნათ, როცა დურბეზის ბრძანება ასეთი იყო. მოწყენილი ჯარისკაცები მოსდევდნენ აქლემების ქარაგანს. ისინი უკამაყოფილოდ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ისე საიდუმლოდ, რომ დურბეზის შვილს მილიქს არ მოეკრაყური, რომელიც მამის მაგიერ სულთანთან მოდიოდა. მალიქს დიდი ამალა მოსდევდა. არაბთა ჯარებს სპასალარობდა დურბეზის ერთგული ელლაზი.

— ქართველებმა ჩვენ ხომ არ გამოგვიცხადეს ბრძოლა, რას ვერჩით იმ ხალხს? — ბრაზით ლაპარაკობდა შავწვერა არაბი და კაკლისოდენა შავ თვალებს აპრიალებდა.

— დურბეზის სურვილია, — უპასუხა მეორემ. — მეფის სურვილია ხალხი გაწყდეს? — იკიოხა სხვამ.

— რასაკვირველია, — ძვლავ ზიზლით ოქვა შავწვერა არაბმა.

— რა ენაღვლება, თვითონ ტახტზე ზის, ხალხის სისხლი კი იღვრება, — ჩაება მათ ლაპარაკში სხვა მეომარიც.

— სწორედ ამ ხალხის სისხლი დაალრჩობს ჩვენს დურბეზს, სულთანსაც, სხვა მეფეებსაც, — ისე ლაპარაკობდა შავწვერა არაბი, თითქოს ხალხის სისხლი უკვე მოდიოდა ბოროტ მეფეთა წასლევავად.

თხასიათისი ჯარისკაცი მოადგა საქართველოს საზღვრებს. ჯარისკაცთა მთავარი მბრძანებელი სულთან მელიქ-თოლრილი იყო, ამის შემდეგ მთავარ კაცად ამირა ელლაზი ითვლებოდა. მათი ჯარები დაბანაკდნენ ორიალეთში, მანგლისში, დიდგორის.

დავით აღმაშენებელმა მთელი იბერია ფეხზე დააყენა და ყიფალებსაც ბრძოლისკენ მოუხმო. ნაკარმგვების გაზლილი ველებიდან საომრად დაიძრნენ ქვევით და ცხენოსანი ჯარისკაცები. ისინი კარგად იყვნენ გაწვრთნილი, სიმღერით მიღიოდნენ სამშობლოს რჩეული ვაჟკაცები.

საბრძოლო ადგილი თბილისის მახლობლად იყო, ხოლო თბილისი თურქებს ეპყრათ.

დავითი მტრის ბანაქს რომ მიუხალოვდა, თავისი ჯარი რამდენიმე შეებად დააყენა, ისინი მოფენილი იყვნენ გორებსა და ხრამებში. მოახლოვდა ბრძოლის შუთები. თურქ-არაბების ჯარები მზად იყვნენ ომისათვის. ჯერ კიდევ არ იყო ნიშანი სამ-მრად შემძინა. ქართველთა მხრიდან ორასი ყივჩალი გამოირჩა, ისინი მტრის ბანაქისაჲნ ჯგუფად წავიდნენ. არავითარი საომარი განწყობილება არ ეტყობოდა მათ. თურქ-არაბების ჯარში ამან დიდი აფრთვობანება გამოიწვია.

ელღაზი და მელიქ-თოლრილი ამაყად დაიარებოდნენ თავიანთი ჯარების რიგებში. ელღაზმა ტრაბახით მიმართა მელიქ-თოლრილს:

— ჩეენი რისხვი ვის არ შეაშინებს, მერმე ისიც ქართველებს, რომლებიც მურვან ყრუმ¹⁾ ცეცხლითა და მანვილით დაარჩია!

არაბთა ჯარების სპასალარი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ბრძოლიდან მოდიოდნენ გამარჯვებული.

— ჩეენ დიდ სულთანს კი ამ ნამცეცა ხალხის ამხედრებამ შიშით ზაფრის ქარები შეჰყარა, ხოლო მე სიცილადაც არ მყოფნიდა, — მელიქ-თოლრილი მეტად თამამად იყო, მისი დამცინავი კილო სულთანსაც კი მისწვდა, ხოლო ქართველების ამხედრებაზე ყურადღებასაც არ აჩერებდა.

— აი, ომიც ასეთი უნდა, ერთი კაციც კი არ მომკვდარა... — სიცილით ამბობდა ელღაზი.



— ურჩობის მოსანანიებლად მოდიან, აბა, რა ეგონათ საკოდავებს?! — მთლად მკვეხარა ქოთნად გადაიქცა მელიქ-თოლრილი.

1) მურვან-ყრუ იყო არაბთა სარდალი: მისი შემოსევა საქართველოს მოხდა. VIII საუკუნის პირველი ნახევარში. მურვან-ყრუ ცნობილია თავისი მრისხანებით. ავტორი.

— შონანიება... მონაშენება გახა ყოველთვის შეიძლება? ხუმრობა საქმე ხომ არაა, უზარმაზარი სახელმწიფო ავიშალეთ და უთვალავი ხარჯი გამოიწვია ლებინეს. ყველას თავები უნდა დავკვეთოთ. კარმოოქვა ელღაზმა.

ყივჩალები გულდაგულ მოდიოდნენ თურქთა ბანაკისაჲნ, რამდენიმელა ნაბიჯი დარჩა. ისინი მოდიოდნენ ნელა, არც დაღლილები იყვნენ. თურქები და არაბები მოემზადნენ მონანიებითი სიტყვის მოსამენად, ერთად შეჯგუფდნენ ყველანი. ყივჩალებმა სიტყვის მაგიერ ხმლები ააელვარეს. ეს მშვიდად მომავალი ხალხი თითქოს ერთბაშად გაცოფდა, შეიჭრნენ მტრის ბანაქში, რისხვი ითრევეოდა იმათი ცეცხლივით აბრიალებული თვალებიდან, განუკითხავად დაიწყეს თურქ-არაბთა ხოცა. მტრის ბანაქში დაბნეულება გამეფდა, უფრო მეტი რისხვა დატრიალდა, როცა ქართველთა მოიერიშე ახალი ლაშქარი გაღმოვიდა. მკვეხარა სარდლებმა იბრუნეს პირი და უკუიქცნენ. თურქ-არაბთა გაქცეულ ლაშქარს ქართველთა ცხენოსანი რაზმები დაედევნენ, ათი ფერსხის 1) მანძილზე სდიდეს. ოთხასი კაცი ტყვედ წმოასხეს, თან წმოიღეს უთვალავი ნადავლი: ოქრო და ვერცხლი, ძვირფასი ჭურჭელი და იარაღი, წამოასხეს არაბული ცხენები და ასურული ჯორები. დატყირთული აქლემების ქარავანი ისე მოირწყოდა, თითქოს არაბები მიდიანო მექაში 2).

ამ გამარჯვებამ საბოლოოდ შეარყია ტყილისში მჯდომი ამირას ტახტი, და 1122 წელს იგი კიდეც გაიპარა.

ტყილისის აღების შემდეგ დავით აღმაშენებელმა ორი წელიწადი დაისვენა, ომი არავისთან უწარმოებია, ხოლო დიდი ლაშქრობისათვის კი ემზადებოდა. მან მოულოდნელად გასცა განკარგულება შირვანს გასალაშქრებლად. სულთანიც დიდ სამზადისს შეუდგა, მთელი თავისი საბრძანებელი ფეხზე დააყენა. სულთანის ჯარს ქართველების ეშინოდა, მათში ბევრი ჯარისკაცი იყო ისეთი, რომლებმაც დიდგორილან მოკურცხლეს. ამიტომ ჯარისკაცებმა ერთხმად მიმართეს სულთანს:

— თუ, დიდო სულთანო, შენ წინ წაგვიძლვები, ვიბრძოლებთ, ისე კი ჩეენ ქართველებს ვერ შევებმითო.

— როცა ქართველები შირვანში მოდიონ, აბა მე შინ რა გამაქრებებს, მეც თქვენთან ვიქნებიო.

ბრძოლა რომ ატყდა, სულთანი იქ აღარ ჩანდა, სადღაც გაპარულიყო. ჯარმა თავისი სიტყვა შეასრულა, უკუიქცნენ. შირვანი იიღეს ქართველებმა და აქედანაც ძვირფასი ალაფი წამოიღეს.

სამშობლოს მამაცმა შვილებმა ქვეყანას ახადეს მონობის ულელი. დაეით აღმაშენებელმა ხელი მიჰყო სამშობლო ქვეყნის კეთილმოწყობას. მთებში

1) 10 ფერსაზი უდრის 210 ვერსს.

2) მექა — არაბების სამლოცველო ადგილი.

შეხიზული ხალხი ბარში ჩამოიყვანა. გაჭირვებულს, სადაც კი შეეყრებოდა, ყველას ერთნაირად ჰპატ-რონბოდა. იმ ადგილებში, სადაც ქართველებს ომი მოუხდათ ოურქებთან, სომხები ძალიან უჯდ მდგომარეობაში იყვნენ. დავით აღმაშენებელი მივიდა მათ სოფლებში, გაიცნო დარბეული ხალხის ყოფა-ცხოვრება, შემდეგ იხმო მათი წარმომადგენლები და ჰპითხა:

- თქვენ ხომ გინდათ უკეთესი ცხოვრება?
- კარგი ცხოვრება როგორ არ გვინდა!
- მაშ წამოდით ჩემთან.

სომეთი წარმომადგენლები ქართველთა მეფი-საგან რისხეს ელოდენნ, მაგრამ სულ შეიცვალა მათი შეხედულება. ისინი ქართლში დაასახლა და-ვითმა მტკვრის მარცხნა ნაპირზე, მისცა ფულები სახლების ასაშენებლად. მშვენიერი პატარა ქალაქი გაიმართა. რომელსაც დავით აღმაშენებელმა გორა უწოდა. გორს თავისი სიმაგრე ჰქონდა, გორის ცი-ხედ წოდებული.

ერთხელ დავით აღმაშენებელი გორის დასათვა-ლიერებლად წავიდა, შემდეგ ტინისხიდა და ნაჭა-რმაგებულიც ისურვა გავლა. შან ჩევულებრივად თან წაიღო ფულით სახეს ქისა. ეს ფული ღარიბ-ღატა-კებისათვის და ქვრივ-ობლებისათვის უნდა დაერი-გებინა. ასე იცოდა მან, როცა სახლიდან გავიდო-და, ბერები ფულიც დაურიგებია.


მეფემ ნახა თავისი აშენებული ქალაქი გორი, მოეწონა. მერე მახლობელ სოფლებშიც გაიარა. ყველგან სიცოცხლე ტრიალებზე. ხალხი სიხარულ-ით ეგებებოდა და თავიანთ მხსნელსა და ერთგულს მზადყოფნას ეფიცებოდნენ. მეზავრობის დროს ბევ-რგან მდინარეები იყო გასავლელი. მდინარეზე არ იყო ხიდები, მეზავრობას ძალიან აფერხებდა უხიდ-ობა. მეფემ ბრძანა ხიდების გაკეთება მტკვარსა და ლიახვზე. დავით აღმაშენებელმა ლიახვზე თვითონ ჩაუყარა საფუძველი ხიდასა. მალე გაკეთდა ხიდე-ბი. თვით გორში კი ღარიბთა თავშესაფარი ააგო.

დავითმა დანგრეული ქვეყანა კვლავ ააშენა. არც ერთი კუთხე არ დარჩენილა მისი უნახავი, ყველას ეხმარებოდა. ამიტომ უწოდეს აღმაშენებელი.

გორიდან რამდენიმე კვირის შემდეგ დაბრუნდა დავითი, მოწყვილი იყო ძალიან. მეფის მოწყვილის ამბავი ხელიდ მოედო სასახლეს. მსახურნი დას-და-სად მიდიოდნენ დავით აღმაშენებელთან, კითხულ-ბდნენ მჭმუნვარების მიზეს. ბოლოს გიორგი ჭყონ-დიდელი მივიდა:

— მეფეო, რაი არს ჭმუნვარების მიზეზი? ხალხი ილენდეს და მეფე სწუხდეს, ეს ვთარ შეიძლება?

მწუხარე მეფემ შეხედა გულშემატკივარ ჭყონ-დიდელს, სანამ სიტყვას იტყოდა, ჯიბიდან ფული-



ანი ქისა ამოილო. ყველა გაოცებული თვალებით უცემოდა მეფის მოვარაყებულ ქისას. არავინ იცოდა, რას იტყოდა მჭმუნვარე მეფე.

— მე ქართლი მოვიარე, — დაიწყო უმაღლური კი-ლოთი მეფემ, — ჩემი ქისიდან მხოლოდ ნახევარი ფული გავეცი ღარიბებზე. ნახევარი კვლავ შინ მო-მყვა, აქამდის მთელ ქისას ვცლიდი ხოლმე. იქნებ ვინმეს უჭირდა. მე კი ფული არ მიმიცია, ვინ იცის, იგი იქნებ კიდეც მაძაგაბს...

— მეფეო, დიდო აღმაშენებელო, დაგილრეჯია ტყუ-ილადო, — ჰკადრა დიდმა მწიგნობარმა გიორგი ჭყო-ნდიდელმა, — ასეთა ხალხმა ძალა მოიცა, მოლონიერ-და, ოქენს თვალს საწყალი და გაჭირვებული იშვი-ათად გამოეპარებოდა, სამოწყალო უმოწყალოდ არ დაგრჩებოდათ. დღეს ბელნიერი დღეა, მეფე ჭმუნ-ვის ნაცვლად უნდა ილენდეს.

განთქმული მწიგნობრის სიტყვებმა დავით აღმა-შენებლის სახეს მართლაც რომ ნათელი მოჰტინა. გახარებულმა მეფემ ბრძანა ნადიმის გამართვა. ნა-დიმზე მოიწყიეს სამშობლოს მამაცი გმირები, საქა-რთველოს მრავალი კუთხის წარმომადგენლები. ნა-დიმი გაიმართა საქართველოს დედაქალაქ თბილ-ისში. ილენდა მეფე, ილენდა მთელი ხალხი, ხალ-ხი ლოცვადა ერთგულ და მამაც მეფეს, მეფე კიდ-ევ ხალხს. სიყარულით ახსენებდნენ ომში დაკარ-გულ სამშობლოს გმირებს. ჰაერს საუცხოო ჰანგე-ბად ეფინებოდა მათი ტკბილი სიმღერა და მუსი-კობანი. ეს ნადიმი გადაიქცა ზეიმად, სადაც განთა-ვისუფლებული საქართველოს ხალხთა სიხარული ისა-ხებოდა.



ერიშტერის ცდები



— ეს რა არის, ედიშერ, ახალი რეაქტივები იყიდე? — ოთახში შესვლისთანვე მიაქცია ყურადღება მაგიდაზე დაწყობილ ახლადმოტანილ ხელსაწყოებსა და რეაქტივებს გურაშმა.

— ზოგი ვიყიდე, ზოგი კიდევ მე თვითონ გავაკეთე. აი, მოდი გაჩვენო, ეს მოწყობილობა სულ ჩემი გაეცემობულია.

— ეს მინის მილი როგორ მოლუნე, პირდაპირ საოცარია!

— მინის მილი? სულ ადვილად. აი, ნახე, სპირტნათურაზე როგორ რბილდება და ილუნება მინა, — უთხრა ედიშერმა და შეუდგა თავისი ხელოვნების ჩვენებას.

— გურამ, ცოტა დავიცადოთ, მანამდის მე მარარილოს ნატეხებს მოვიტან. ამხანაგები თუ მოვიდნენ, უთხარი დამიცადონ, მხოლოდ არაფერი გამიფუჭოთ, იცოდეთ, ან გემოთი არ გასინჯოთ რამე.

— კარგი, კარგი.

ედიშერი წავიდა თუ არა, ამხანაგებიც გამოჩნდნენ. ლიანმ კაუჩუკის მილები მოიტანა, ედიშერს დავალებინა. შალე ედიშერმაც მოარბენინა მარმარილოს ნატეხები.

— იცით, რა გითხრათ, ბიჭებო, ბაბუა სამსონი არის სოფლიდან ჩამოსული და ბებია ეფროსინე... ეს მარმარილოს ნატეხები ბაბუამ ჩამომიტანა და თან მისაყვედურა: რად გინდოდა, ეს კებები რომ მაზიდვინეო. იმათაც ვუჩვენოთ, რისთვის მჭირდებოდა მისი ჩამოტანილი მარმარილო.

ამხანაგები სიამოვნებით დასთანხმდნენ. სანამ ედიშერი როაშხადებდა ცდის მასალას და ხელსაწყოებს დააყენებდა, მოხუცებულებიც მოვიდნენ. ედიშერს უკვი ჟველაფერი მზად ჰქონდა. გურამი ასისტენტობდა. — აა, ბაბუა, შენი მარმარილო რად მჭირდებოდა. მიყურე, რა გავაკეთე. მარმარილოს ნატეხები კოლბში ჩაყარა. კოლბიდან მოხსნილი მილი გამოდიოდა, რომელზედაც კაუჩუკის მილი იყო ჩამოცული. კაუჩუკის მილი ერთ მაღალ მინის ჭურჭელში ჩაუშვა. კოლბს საკონი მოხადა და ზედ მარილის მეუავა დაასხა. სითხემ დუღილი დაიწყო:

— შეხედე, ბაბუა, რას უშერება ჩემი სითხე შენ მარმარილოს! ამ მილიდან გაზი გამოდის, ამ გაზს კი ამ ჭურჭელში ვაგროვებ.

— მანდ მოგროვებულს მე ვერაფერს ვხედავ, — გაკვირვებით თქვა ბაბუა სამსონმა.

— მალე დაინახავ.

ჭურჭელს კი მაინც არაფერი ეტყობოდა. ედიშერი ანთებული ასანთით სინჯავდა ნახშირმავა გაზის ამოსვლის. მიუახლოვებდა თუ არა ასანთს ჭურჭელს, ასანთი ქრებოდა...

— ნახევრამდის... ცოტა აკლია.... აივს! — გახარებით წამოიძახა ედიშერმა. ბაბუა სამსონი ჭურჭელს მიუახლოვდა და კარგად დააკვირდა. ის ავსებულს მაინც ვერაფერს ხედავდა. ბებია ეფროსინეც ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე. ყმაწვილებს თვალი მოხუცებულებისაკენ ეჭირათ. ცარიელიდან ცარიელში უნდა გადავასხა. მიყურეთ! ედიშერმა გამოიტანა სასწორი. ერთ თევზშე მინის ჭურჭელი დადგა, მეორე თევზში კი საწონებით გაუთანასწორა.

— ბაბუა სამსონ, ხომ სწორია სასწორი?

— სწორია.

— ახლა იმ ცარიელი ჭურჭლიდან გადმოვასხათ სასწორზე დადებულ ჭურჭელში. შეხეთ, სასწორის ულელი დაიხარა.

— რაშია საქმე, — ფიქრობს ბებია ეფროსინე, — შიგ რომ არაფერი იყო?

— იყო, ბებია, მაგრამ არ ჩანდა. თვალით უხილავია, როგორც ჰამილტონი, მხოლოდ ჰაერის მძიმე. ახლა რომ გადავასხა, სასწორი ისევ წონასწორობაში იქნება. ხედავთ? და მართლაც, გადასხმის შედეგ, როცა ცარიელი ჭურჭელი სასწორის თევზშე დადგა (ჰაერის გარდა ხომ შიგ არაფერი იყო), სასწორი ისევ გასწორდა,

— ამნარი ჩემს დღეში არაფერი მინახავს! — გაკვირვებით ამბობდა ბებია ეფროსინე. ედიშერის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მოხუცებულები დაანიტერესა და ცდა განაგრძო, კიდევ გააგით დიდი ჭურჭელი ნახშირმუხვა გაზით და დოდი მინის ჭურჭელი მოიტანა, შიგ მავთულის კიბე ჩადგა. კიბეებზე ოთხი მოკლე, ნაძვის ხეზე ნახმარი სტეპანის სანთელი დაამარი, გადაასხა გაზი, დაბლა ერთი სანთელი ჩაქრო.

— ახლა აქამდის არის შიგ გაზი, — უხსნიდა ედიშერი. შემდეგ მეორე, მესამე და მეოთხე სანთელიც ჩაქრო.

— ახლა კი საგსეა გაზით. აი, ხედავთ, — და ისევ დაიხარა სასწორი.

მის როგორი მნა აქვს



ცხოველებს ენა ეწმარება საკვების ღეჭვასა და გაზაფლაპვაში. ამათუმ ცხოველის ენის ფორმა დამოკიდებულია იმ საკვებ მასალაზე, რომლითაც ის იკვებება, და იმ საშუალებებზე, რითაც ის ამ საკვებს მოიპოვებს. ამ რამდენიმე მაგალითი:

1. ლომს აქვს უხეში და მავარი ენა, როგორც ჯავრისი. ის ენით ძვლებს აცლის ხორცს.

2. კულიბრის ენა ბოლოში იმ წვრილებრივული ლად იყოფა, რომლითაც ის ტუმბოსავიტროლებით ქიანს წვენს ყვაველებიდან.

3. კოდალს გრძელი და მახვილი ენა აქვს. მას ენით, როგორც ბარჯით, ამოჰყავს მშერები ნასერეტებიდან.

4. ბაყაყს დრეკადი და წებოვანი ენა აქვს. ის მოთავსებულია პირის ღრუს სულ წინა ნაწილში. ბაყაყი ამ ენით იჭერს მშერებს, რომ-ლებიც კარგა მოშორებით არიან მისგან.

5. კატის ნავისებური ენა აქვს. ასეთი ენით ქლიერ აღვილია რის ამოსვლება.

6. როდესაც ჟირაფს პირი დახურული აქვს, მისი ენა შესხვილი და მოკლეა, მაკაბ როდე-საც მას სურს შოსტიოს თავისი კენ ხის ტატი, მაშინ მისი ენა გრძელდება და მოქნილი ხდება.

7. ჭიანჭველაჭამიას გრძელი, ძალიან გრძე-ლი ენა აქვს (20 სანტიმეტრი), წვრილი და წებოვანი, როგორც ბუწებისსაჭერი ქალა-ლიდი. ამ ენით ჭიანჭველაჭამია იჭერს ჭიანჭვე-ლებს არა მარტო მიწის ზედაპირზე, ირაშედ თვით მათ ბუდეებშიაც.

8. თევზებს საკვები წყალთან ერთად თავი-სით უცვივდებათ პირში, ამიტომ მათ ენა ძა-ლიან სუსტი და თითქმის უძრავი აქვთ, ზოგიერთებს კი ენა სრულებით არ გააჩნია.

ჭიანჭველა და რომელია მას

ძველ აომში დიაზაულები თავის უასა-ციად მართავდნენ ბრძოლას გლაფიატურა მორის. გლაფიატონები, აომშია მომართებული და უასაკადიანი, დაყარინალი მცირდი-დან უასოფავდათ.

ეს უკანასკნელი ბივრჯინ ჯანებათოდნენ თავითონ მართავდნენ გლაფიატონები. გადაოგვი-მან, აომ აომაულაბა გავ ისცეს გრძანია, აომ-ლის მიხადით აჯანებიანი მონაილი ყოველ-ზოაპარილ გლაფიატონს სიკვლილით დაიდ-ნინ, მაგრამ სასჯელის ხასიათი დავოყიდავ ული იყო იმაზე, თუ აომგორ პასუხიან გლაფია-ტონი დაკისვაზე: თუ ტყვა სიმართლის ამ-ბობდა, იგი უზარი უნდა გავიგიანათ, თუ ტყურდა—უნდა ჩამოაგრიოთ. ამ ბრძანების შე-ცვლა არავის შეძლო.

ართხელ აომელ ლეგიონერთა რაზეის მიიჩ ჟაყარებილ იქნა მათი გლაფიატონი. ტყვის

სიკვლილი მოაღოდა, გაგრავ წილადიათონა გადაფინიტა რეალუას უცხოსი ჭკლით მოა-ტკუცინა. უცხოსი კი ზოდასატა ტკეპოდა მაგაროც მონისალის გამოსატანი განაჩენით.

— აბა, აომალი დევდოლი და დასახური—და-ციცით შეიკითხა გლაფიატონს უცხოსი.



აა კითხეაზე გლაფიატონა ისი უასეზა, აომ მისი დასჭა არ უაიძლებოდა.


აომგორ უასეზა გლაფიატონა, აომ უ-ციცირენა სიცოცხლე?






თბ ტასტოთთა

၁၁၆၀ ၄၀ ၂၂၃



სცადეთ მიაღწიოთ ლაპირინტის ცენტრამდის.

ხელმისამართი ვასკვავავი



დაალაგეთ ეს თერთმეტი ნაწილი
სუ, რომ მიიღოთ ორი ერთნაირი
ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ვასეპები „პირვერის“ № 9-ში მოთავსებულ გასართობზე.

